

80

გ-26

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ გიორგის ასული ბარბაქაძე

## სონეტი ქართულ მწერლობაში

10.01.08 - ლიტერატურის თეორია

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციისა

თბილისი  
1998



სადისერგაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლექსმცოდნეობის განყოფილებაში.

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი: დიმიტრი თუხარული

ოფიციალური ოპონენტები:

1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი: ვივი მიქაძე
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი: რევაზ მიშველაძე
3. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი: სულხან ჟორდანიას

წამყვანი ორგანიზაცია: აკაკი წერეთლის სახელობის  
ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა გაიმართება 1998 წლის 18 დეკემბერს  
საათზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერგაციო საბჭოს P 10. 01. C №5 სხდომაზე.  
მისამართი: 380028, თბილისი, ილია ჭავჭავაძის პროსპექტი №1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაგზავნილია 1998 წლის 17. XI

სადისერგაციო საბჭოს სწავლული მდივანი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი: /თ. კიკაჩიშვილი/

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა და გამომკვლევის მიზანი არის ქართულ მწერლობაში სონეტის დამკვიდრებისა და განვითარების ეტაპების მონოგრაფიული შესწავლა.

მყარი სალექსო ფორმების სტრუქტურის კვლევა ქართული ვერსიფიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა.

ქართულ სინამდვილეში სონეტის შემოსვლასა და დამკვიდრებას ხელი შეუწყო მყარი სალექსო ფორმებისაკენ მიდრეკილებამ, რაც იმთავითვე ახასიათებდა ჩვენს პოეზიას (იამბიკო, რეული, მეწყობილი, შერეული, აღმოსავლეთიდან შემოსული მუხამბაზი და ა.შ.).

ქართული მწერლობა არასოდეს ყოფილა თავის თავში ჩაკეტილი და მისთვის ორგანული იყო მსოფლიოს ლიტერატურულ-კულტურულ ღირებულებათა ათვისება.

ილია ჭავჭავაძემ გურამიშვილის დროიდან შენიშნა ევროპეიზაციის გენდენციები ქართულ მწერლობაში, რომელიც ნიკ. ბარათაშვილის რომანტიკული მსოფლადქმით დაგვირგვინდა.

სიმბოლიზმის შემოსვლა (რამაც განაპირობა სონეტის დამკვიდრება და გავრცელება საქართველოში), როგორც მიუთითებენ, იყო „ქართული ფილოსოფიის გაწყვეტილი ჯაჭვის“ აღდგენა.

ქართული ლექსის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გავრცელებულ მყარ სალექსო ფორმათაგან სონეტი დღეს ყველაზე პოპულარულია.

სონეტის ისტორიისა და თეორიის პრობლემები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მისი კვლევა ითვალისწინებს სონეტის ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის, მისი ფილოსოფიის და ძირითადი ვერსიფიკაციული პარამეტრების (სტროფიკა, რითმა, საზომი) შესწავლას - ანალიზს.

სონეტი XX ს. ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა. შესაბამისად, გაიზარდა ინტერესი მისი ისტორიისა და თეორიის პრობლემების მიმართ.

მყარი სალექსო ფორმის კომპოზიციური სტრუქტურა წინასწარ განსაზღვრულია და მისი სტროფიკა, რითმა და საზომიც